

# ღმ.ღმ.ღმ.

№9, 2014

სამცხე-ჯავახეთის  
110-ე  
სკოლა



ლინა გარათაშვილი

## მახტა ნადი ქახტვედი

ტანსე ჩონა ჩაიცივა და  
ერთი გოჯით აიწია,  
რა ბიჭია, რა ბიჭია,  
ახლა მართლა დაუთია!  
ტანსე ჩონა-ახალუსი,  
წელსე სმალი სამშვენია,  
ამ სამოსში დათო მართლა,  
მართლა ნადი ქართველია!



## ანაო

თვალემაეუალა ანაო  
თოჯინას უთხარ ნანაო,  
ძილისპირული უძღერე,  
ქართული იავნანაო.  
გაიხარდე და იუავი  
იმ ქართველ ქალისთანაო,  
მამულს თორმეტ შვილს  
უხრდიდა  
და სულ ვაჟკაცებს თანაო.  
სახელოვანი დედობა  
დაგკვებებოდეს, ანაო!



მხატვარი  
ნათია გავურიშვილი

# კაჭკაჭუნას უბთაში

გაზაფხულდა. ეს უძოსა და ტყის პირსაც დაეტყო – მზიანმა ქარმა ახლად ამოფეთქილი ბალახი ააცახცახა, ყოჩივარდა მოიპნა ღობის ძირებში. კატებმა სახლის სახურავზე სეირნობას მოუხშირეს.

სახლის წინ სააფთიაქო სამმართველოს მანქანა გაჩერდა. მამა გადმოვიდა, ზემოთ ამოიხედა, რკინის აივანზე გაცვენილებს ხელი დაგვიქნია ჩამოდითო და ჩვენც კისრისტეხით დავეშვიტ კიბეზე.

კოტე, შაქრო და რამდენიმე მათი მეგობარი წამლებით სავსე ყუთებს ეზიდებოდნენ აფთიაქში. მე და ლელუ იქვე ვიდექით და რაღაც საჩვენოს ველოდით. მამამ შაქროს დიდი შეკვრა გადასცა და უთხრა ზემოთ აიტანეო. ჩვენც კუდებივით უკან გავედევნეთ, რაღაც ვიყნოსეთ.

ცოტა ხანში მძლოლთან ერთად მამა ამოვიდა, ბიჭებიც მოჰყვნენ. სუფრა უკვე გაშლილი იყო.

სადილის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი დაიკავა და მამამ რაღაც გრაგნილი დადო მაგიდაზე, მერე ხელები მიაშველა, გაშალა. თვალებადქცეულ კოტეს ახედა და უთხრა:

- ნახე, ივანე ჯავახიშვილის შედგენილი საქართველოს რუკა.
- ათას ცხრაას ოცდაათი წელი – სულ ახალი ყოფილა, – წაიკითხა კოტემ.
- შენ საწერ მაგიდასთან გავაკრათ, – გაუღიმა კოტეს.

დაფაცურდნენ და რუკა ოთხი ბრტყევილა სამაგრიტ გაჭიმეს.

სკამზე შემდგარი რუკას დავაცქერდი, კოტე გვერდით ამომიდგა.

- კოჯორი სად არის? – შევეკითხე.
- ეს თბილისია, ხედავ? კოჯორიც აქვეა.
- ეს? – არ ვისვენებდი.

კოტემ დინჯად ამიხსნა მთელი რუკა. ერთიც ვნახოთ, მინებიან კარს ვიდაც მოადგა და დედას მოქარგული ფარდების ზემოდან გადმოიჭყიტა, გაიღიმა. მამამ ხელით ანიშნა შემოდითო.

ჩვენი სახლის გვერდით, უძოსკენ აღმართი მოემართება, აი, იმ აღმართის მარჯვენა მხარეს, მწვანეში ჩაფლულ ქვითკირის სახლში ცხოვრობს სწორედ ის კაცი, ფანჯარაში რომ შემოიჭყიტა – ძია იაკოვა. ოქროს ხელებს ეძახდნენ, ისეთ გემრიელ საჭმელებსა და ზამთრის ათასგვარ მწნილებს, შაშხს, კუპატს და, კიდევ რა ვიცი, რას არ აკეთებდა, ამიტომ ჩვენი სახლის ხშირი სტუმარი იყო. ბევრ რამეს გვიმზადებდა კოჯორის დიდი ზამთრისთვის. განა მხოლოდ ეს ნიჭი ჰქონდა იაკოვა ძიას: ადამიანს ნახავდა თუ არა ზედმეტ სახელს ისე ოსტატურად შეარქმევდა, ზედგამოჭრილიც იყო და არც არავის სწყინდა.

„იაკოვას ვახლავარ! – შეეგება მამა – დაბრძანდი, რა ამბავს გვეტყვი, რა ხდება?“

„ღვთის წყალობა, შენი ჭირიმე, მგონი დასვენების საშუალება არ მოგეცა, არა?“ – ქუდი მოიხადა, ჩამოჯდა და მუხლზე გადაიჭიმა.

„არა, გეთაყვა, რამ დამდალა, პირიქით, შენი ნახვა გამიხარდა“.

დედა შემოვიდა, იაკოვა წამოხტა და მიესალმა. დედა ერთადერთი ქალი იყო, ვისაც იაკოვამ მეტსახელი ვერ მოუფიქრა, თუ ვერ გაბედა. სადღაც ეთქვა, ანგელოზივით ადამიანია, მაგას რა უნდა შევარქვაო, მამას კი გენერალი შეარქვა.



იაკოფა იჯდა, მორცხვად რაღაცას იღერებოდა და საოქმელი ვერა და ვერ ამოეთქვა.

„კარგი კაცო, რა მოგივიდა, რა უცხოსავით იქცევი, თქვი რა გაგჭირვებია, ისეთი რა უნდა იყოს, ვერ გიშველო“, – შეაგულიანა მამამ.

„რა და... ერთი ახლობელი პატიოსანი კაცი მყავს, კაჭკაჭუნა ჰქვია“.

„ეგ შენი შერქმეული სახელი იქნება, – გაეცინა მამას, – ნამდვილი სახელი მითხარი იმ კაცის.“

ისე დაფიქრდა იაკოფა, მგონი, იმ კაცის ნამდვილი სახელი აღარც ახსოვდა.

„ჰო, – ერთბაშად შეჰყვირა, – სოსიკა ჰქვია. ერთი ფარდალადა კაცია, მართ-

ლა კაჭკაჭუნას ჰგავს, ღმერთმანი. გეგონება, საქმეს თავს ვერ მოაბამსო, მაგრამ გამრჯე და მოხერხებული ადამიანია. კარგი პურის ცხობაც იცის“.

„მერე, მიიყვანე ხეჩოსთან“.

„არა, ქართულ პურს აცხობს. ყური მიგდე ბატონო ალექსანდრე! – სკამი უფრო მისწია მამასკენ, – აი, აქა, მილიციის გვერდით სახლში ჩაოხრებული სარდაფია, იმის დაქირავება უნდა“.

„მერე?“ – ცოტა გაოცებით ჰკითხა მამამ.

„მერე და, შენ უნდა უშველო, იმ სახლის პატრონი შენ მაგაზე უარს არ გეტყვის, გამოასუფთავენს, გამოაკრიანებენ, თონეს ჩადგამს და კაი შოთებს ჩააცხობს. უშველე, რა!“

„კი, როგორ არა!“ – დაუფიქრებლად თქვა მამამ.

„უზრდელობაში ნუ ჩამომართმევ და ახლა ნესტორა შინ არი...“

მამა იაკოფას დააცქერდა, გაუღიმა და წამოდგა.

რა ვიცი, რამდენი დრო მოანდომა კაჭკაჭუნამ იმ სარდაფის ამოსუფთავენას, მაგრამ ერთ დღესაც კარს ისევ ვიღაც მოადგა. ფეხით ფრთხილად მოაკაკუნა.

გამოვადე და რას ვხედავ: დგას კაჭკაჭუნა, ორად ორი კბილი გამოუყრია იდიმება, ფეხებს აბაკუნებს: „შემომიშვი, შვილო, შემომიშვი, ვიწვი კაცი!“ – ორივე მკლავზე ოთხი ცხელ-ცხელი შოთი უწყვია, ისეთი სურნელი ასდის, წაგაქცევს. შემოვარდა კაჭკაჭუნა ოთახში და პირდაპირ ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე გადმოყარა შოთები. მერე ერთ შოთს დასწვდა, დატეხა და ჩამოგვირიგა, თან ხელებს აქნევდა გასაგრილებლად.

თვალი გამიჩერდა შოთებზე, რაღაც მომაგონდა და კოტეს ავხედე.

„რა მოხდა?“ – ჩამეკითხა ღიმილით ძმა.

„შეხედე, როგორ ჰგავს კაჭკაჭუნას შოთი საქართველოს რუკას?“ – ჩუმად ვთქვი.

„რა?!“ – კოტემ გაოცებულმა შემომხედა და გულიანად გადაიხარხარა.

ლალი ჯაფარაშვილი

# რვეული

გამომენტო რვეული,  
გვერდებზე მოხეული...  
– რომ მიმჯღაბნე, მომჯღაბნე,  
დამამშვენე ხალებით,  
ახლა სეირს გიჩვენებ,  
ვერსად დამემალეები!  
რვეულიდან ბარე ათი  
აკაკანდა ავტომატი,  
ჩემი ხელით მიხატული!  
რომ იჯერეს სროლით გული,  
მერე რვეულის მინდვრიდან,  
ცხრა ცხენი გადმოქიხვინდა,  
ცხრავე საოცრად მახინჯი!  
ველარ გადავდგი ნაბიჯი!  
რომ მომთხოვეს თივა-ქერი,  
ვერ მივართვი ვერაფერი,  
დამშეულნი გაჰყვენ ველებს  
და კინალამ გადამთელეს!  
მერე ატყდა რია-რია,  
ერთმანეთში აირია:  
წრეები და კუბები,  
ინდიელთა შუბები  
ჩოხოსანი, თითქმის ათი...  
მხარზე ვიგრძენ დათვის თათი!  
მარჯვნივ იდგა ინდიელი,  
მარცხნივ – სამი დიდი მგელი!..  
გავიქეცი უკან, ჰოდა,  
გზა მომიჭრა ანაკონდამ!

გულგახეთქილს გამელვიდა  
და მას შემდეგ, დედას ვფიცავ,  
ჩემს რვეულში ველარ ნახავთ  
გადაჯღაბნილ გვერდს და ნახატს!

მხატვარი  
მალსაზ კუსაშვილი



# მე ასე ვფიქრობ, შენ?

მწერლობა ბედისწერააო, ამბობდა ერთი ბრძენი ადამიანი. მეც ბედისწერამ შემახვედრა, ალბათ, შენთან. მწერალს რომ მკითხველი სჭირდება, ეს შენც კარგად იცი. წერ, რომ ვიდაცას გაუზიარო შენი თვალით დანახული სამყარო; წერ, მაგრამ დღეს დაბეჯითებით ველარაფერს იტყვი, იმდენი მწერალია და იმდენი ჭკუის დამრიგებელი. მე გთავაზობთ ჩემ მიერ დანახულ სამყაროს და ჩემს ნაფიქრალს ყოველივე ამის თაობაზე. სურვილი მაქვს, თქვენი ფიქრებიც გამიზიაროთ, ამიტომ გთხოვთ, აუცილებლად მომწეროთ ჟურნალ „დილის“ რედაქციაში.


ჯერ წაიკითხე, მერე დაფიქრდი..... და მერე მომწერე.

მე ასე ვფიქრობ, შენ?

თანამშრომლობისა და მეგობრობის სურვილით **ნიმო არსენაშვილი**

მხატვარი  
**თაა მიქაია**

ჭექა-ჭუხილია  
თუ  
ჭექა-წუხილია



ჯერ გაზაფხული წესიერად არც კი გაგვესტუმრებინა, ზაფხული ის-ის იყო იწყებოდა, მე კი უკვე ბებოსთან ვიყავი სოფელში. რაღა თქმა უნდა, ნებივრობა და ალერსი არ მაკლდა. მთელი დღე აღმა-დაღმა დავქროდი ჩემს თანატოლებთან ერთად.

ერთ საღამოსაც თითქოს ადრე დაბინდდა. შავი ღრუბლები ჩამოწვა და ატყდა ჭექა-ჭუხილი. შეშინებული ბებოსთან მივევარდი, კალთაზე ჩავებლაუჭე. ბებოს წიწილები და კრუხი დაებუდებინა და დერეფანში ფუსფუსებდა. დამიყვავა. ტახტზე დამსვა. თვითონაც გვერდით მომიჯდა.

ჭექა-ჭუხილს თავსხმა მოჰყვა; წვიმის წვეთები ჩვენს ტახტამდეც კი აღწევდა, თუმცა დერეფანი საკმაოდ ფართო იყო. მე უფრო მივეკარი ბებოს.

– აი, ჩემო კუდრაჭავ, ღმერთი გვიბრაზდება და გვიწერება; იმიტომ ჭექს და ჭუხს, რომ ხშირად ცუდად ვიქცევით. წვიმაც, ხომ ხედავ, როგორი გამეტებით უტლაშუნებს მიწას ღვარებს. ღმერთს უნდა, რომ გამოვსწორდეთ და ღვთისნიერად მოვიქცეთ.

ბებო ხშირად მიყვებოდა ღმერთზე და მე გულში ჩამებეჭდა, რომ ის ქვეყნად ყველაზე კეთილია. ჰოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ ასე გაბრაზებულიყო.

ვიფიქრე: ღმერთი ჭექს (ეს ნიშნავს, რომ ხმამაღლა გვეძახის) და წუხს, იმიტომ რომ ცუდად ვიქცევით. ჭექა საჭიროა, რომ ღმერთის სიტყვა ყველამ გაიგოს დედამიწაზე, მაგრამ გაბრაზება – არა. ის არ ბრაზობს, ის წუხს. ასე დამამახსოვრდა ბებოს ნაამბობიდან. ამიტომ უნდა ვთქვათ: – ჭექა-წუხილით და არა ჭექა-ჭუხილი.

მე ასე ვფიქრობ, შენ?





ოთხმა მეგობარმა — ნიკამ, დათომ, დაჩიმ და ლუკამ — გადწყვიტეს თავისუფალი დრო საყვარელი ცხოველებისთვის დაეთმოთ და ზოოპარკში მოხალისეებად ჩაენერნენ — მათ ცხოველების მომვლელებად დაინყეს მუშაობა. ოთხივეს სხვადასხვა ცხოველი ჩააბარეს: ერთს — ლომი, მეორეს — სპილო, მესამეს — ვეფხვი, მეოთხეს კი — მაიმუნები. ბიჭები სკოლაშიც სწავლობდნენ და ამიტომ უკვე იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ოთხმაბათობით ვერც ერთს ვერ ნახავდით ეზოში, ამ დღეს ოთხივე ზოოპარკში იყო.

გარკვიე, რომელი ცხოველის მოვლა დაევალა თითოეულს და რომელ დღეებში მუშაობენ, თუ იცი:

- თითოეულს კვირაში ორი დღე აქვს დაკავებული;
- ზედიზედ ორი დღე არც ერთს არ უნევს ზოოპარკში მისვლა;
- ოთხმაბათის გარდა ყველა ბავშვს სამუშაო დღე კვირის სხვადასხვა დღეს აქვს;
- კვირას მუშაობს მხოლოდ სპილოს მომვლელი, შაბათს — ვეფხვის, ორშაბათს კი — მაიმუნების;
- დაჩი და ლუკა პარასკევ დღეს სხვა საქმეებით არიან დაკავებული;
- დათომ და ლუკამ მაიმუნების მოვლაზე უარი თქვეს;
- კვირას მხოლოდ ნიკა დადის ზოოპარკში.

სახელი	ცხოველი	განრიგი
ნიკა		
დათო		
დაჩი		
ლუკა		





მარიამ ნიკლაური

## სარმასუნა

გათენდა და მტკივა თავი,  
 ეელი, ცხვირი, ფეხი, უური...  
 მსინჯაბ დედამ, მსინჯაბ მამამ,  
 ეველამ მსინჯაბ გულისეურით.  
 მაინც მტკივა – ხან მუცელი,  
 ხან ხელი და ხანაც გული,  
 თავსაც ვერ ვწევ ბალიშიდან,  
 თვალსე მადგას ისევ რული.  
 ეველაფერი რიგზეაო, –  
 ამბობს მამა სიცილით:  
 დღეში სამჯერ უნდა გასვათ  
 „სიზარმაცის მიცინი“.

რუსუდან კუსაშვილი

## ნარცისი\* შარია

დგას წვიმაში ვარია,  
 რაღაც არივ-დარია:  
 – დმერთოო, რა კარგია... –  
 არადა... ავდარია!

არც არივ, არც დარია,  
 ევ იმან გადარია,  
 გუბეში დაინახა,  
 თავის თავი... ვარია!



\* ნარცისი – ბერძნულ მითოლოგიაში, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც წყალში დანახული თავისი ანარეკლი შეუყვარდა.

მხატვარი  
 როინა პელაგია

### გუსი

ტუის ბილიკზე დათვის ბელი  
მიდის ბრაცაბრუციო.  
თურმე, დედას უეილია  
ორი თეთრი ბუცი.

ვაიხარა ბელმა, გული  
სინარულით უცემს.  
ეველას უნდა ვახვენო —  
თათი სტაცა ბუცებს.

მაგრამ ბელი ბრაცაბრუციო,  
ნეტავ, რატომ მიდის?  
ერთი ბუცი ჰატარაა,  
მეორე კი დიდი.



ნათია ჯანაშია

### რატომ ტირის თუთიყუში

- რატომ ტირის თუთიყუში?
- კატამ ჩაჰკრა თათი ეურში!
- დაუშავა რამე, ნეტავ?
- ტლიკინებო დღე და ღამე...
- ამის გამო გაიმეტა?
- თათი ჩაჰკრა, დიდი რამე!


ირმა მაღაციაძე

### კუ და ზღარბი

ბრახობს ზღარბი, მოსდის გული,  
კუს ურეკავს მობილურით.  
- აქ იმდენი ბალახია,  
სტუმრად გელი, რა ხანია.  
დაგჰატიყე სადილად,  
ვასშად მოხვალ ნამდვილად?



# სამიუელ მორზე



ახლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისისთვის შორ მანძილზე კომუნიკაციის არანაირი საშუალება არ არსებობდა. მტრის შემოსევის დროსაც მთის მწვერვალზე კოცონს ანთებდნენ ან მაცნეს აგზავნიდნენ.

პირველი გზავნილი, რომელმაც ათეულობით კილომეტრი გადაკვეთა და ადრესატამდე ელექტრული სიგნალების საშუალებით მივიდა, სამიუელ მორზეს სახელს უკავშირდება.

*ვიციტ, რომ ტელევიზია ბერძნული სიტყვაა: „ტელე“ შორს, „ვიზია“ — ხედვა; ტელეგრაფიც ბერძნულია და ნიშნავს: „ტელე“ — შორს, „გრაფი“ — ვნერ.*

ვინ იყო სამიუელ ფინლი ბრიზ მორზე?

მორზემ გამოიგონა ტელეგრაფის აპარატი, მანვე შექმნა ტელეგრაფის ანბანი — მორზეს ეკუთვნის პირველი გზავნილიც.

ორი ათასი წლის წინათ მაიას ტომები რიცხვების აღსანიშნავად წერტილებსა და ტირეებს იყენებდნენ. მორზეს ანბანშიც წერტილებისა და ტირეების მეშვეობით ჩაინერება როგორც ლათინური ანბანის ყველა ასო, ასევე ციფრებიც.

ამერიკელი მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი სამიუელ მორზე 1832 წელს ევროპიდან ამერიკაში გემით ბრუნდებოდა. გემზე შემთხვევით ნახა ელექტრომაგნიტი და ისე მოეწონა ეს ხელსაწყო, რომ მხატვრობა მიატოვა და მთელი სიცოცხლე ელექტრომაგნიტის თვისებების გამოკვლევას მიუძღვნა.

თუ ხის კოჭაში რკინის ნაჭერს ჩავდებთ და კოჭაზე დახვეულ იზოლირებულ სადენში დენს გავატარებთ, მაშინ კოჭა ძლიერ დამაგნიტდება და ლითონის ფირფიტას მიიზიდავს. თუ დენის მიწოდებას შევწყვეტთ, ლითონის ფირფიტა თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. თუ ლითონის ფირფიტაზე ფანქარს დავამაგრებთ და ფანქრის გასწვრივ ქალაღს ვამოძრავებთ, მაშინ დენის წყაროს ჩართვითა და გამორთვით შეიძლება ქალაღზე მოკლე და გრძელი წყვეტილი ხაზების დაფიქსირება. აი, ეს არის ელექტრული ტელეგრაფის მთელი მოწყობილობა.



1837 წლისთვის მორზემ გამოიგონა გადამცემი მოწყობილობა და მიმღები, ხოლო 1838 წელს შექმნა წერტილებითა და ტირეებით კოდი-რების პირველი ვერსია, რომელსაც „მორზეს ანბანი“ ეწოდა.

მსოფლიოში პირველი სატელეგრაფო ხაზი აიგო ბალტიმორსა და ვაშინგტონს შორის. ხაზის სიგრძე 37 მილი (დაახლოებით 60 კმ) იყო. 1844 წლის 24 მაისს სწორედ მორზემ ისარგებლა ამ ხაზით და ბალტიმორიდან ვაშინგტონისკენ წავიდა პირველი გზავნილი.

რადიოს გამოგონების შემდეგაც იმავე სიმბოლოებით სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ შორ მანძილზე ინფორმაციის გადაცემისას, როცა უშუალო რადიოკავშირის დამყარება ვერ ხერხდება. მორზეს მიერ შექმნილ ანბანში ს აღინიშნება სამი წერტილით, ო ასოს აღნიშნავს სამი ტირე. SOS სიგნალი, რომელსაც ხიფათში ჩავარდნილი გემები აგზავნიან, ასე გამოიყურება: . . . — — — . . . ; ეს უბედურების მაუწყებელი საერთაშორისო სიგნალია..

# საინტერესო ფაქტები

სამიუელ მორზეს ტექნიკური განათლება არ მიუღია. ლეგენდარული ტელეგრაფის გამომგონებელი საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, როგორც მხატვარი. ხელოვნებას იელის უნივერსიტეტში ეუფლებოდა; 1812 წელს ოქროს მედალი მიიღო ნატურმორტებისთვის, მომდევნო წელს მისი „მომაკვდავი ჰერკულესი“ სამეფო აკადემიაში გამოიფინა. მორზეს მიერ შესრულებული მარკიზ დე ლაფაეტის პორტრეტი დღემდე ამშვენებს ნიუ-იორკ სიტი ჰოლს.

საშუალოდ რადისტს (რადიოთი ცნობების გადაცემა-მიღების სპეციალისტს) წუთში 60-დან 100-მდე ნიშნის გადაცემა შეუძლია. რეკორდული სიჩქარე 260-310 ნიშანს შეადგენს. სირთულე ისაა, რომ ძალიან ძნელია წერტილებისა და ტირეების კომბინაციათა დამახსოვრება. იმისთვის, რომ სერიოზულად შეისწავლო ტელეგრაფი, საჭიროა არა წერტილებისა და ტირეების რაოდენობის თვლა, არამედ იმ „მელოდიის“ (ტემპის) დამახსოვრება, რომელიც ამა თუ იმ სიტყვის გადაცემისას წარმოიქმნება.

ჯერ კიდევ რადიოს გამოგონებამდე, 1890 წლამდე, გემებზე სხვადასხვა სახის ხმოვანი და ვიზუალური სიგნალები გამოიყენებოდა: სემაფორული აღმები, ცეცხლი, ზარები... რაც შეეხება SOS სიგნალს, არსებობს მცდარი აზრი, თითქოს ის პირველად 1912 წლის 15 აპრილის ღამეს „ტიტანიკიდან“ გადაიცა. სინამდვილეში ამ სიგნალის გადაცემა მანამდე 17 გემიდან განხორციელდა და პირველი SOS 1909 წლის 11 აგვისტოს დაფიქსირდა.



—	ა
—...	ბ
— — —	გ
— — — .	დ
— ..	ე
.	ვ
... —	შ
— — ..	ზ
..	ი
— . —	კ
. — ..	ლ
— —	მ
— .	ნ
— — — —	ო
. — — .	პ
. — .	რ
...	ს
—	ტ
.. —	უ
.. — .	ფ
....	ხ
— . — .	ც
— — — — .	წ
— — — — —	შ
— — — — —	ქ
.. — —	ყ
.. — — .	ჯ
.. — — —	ჟ
.. — — — ..	ზ
.. — — — — —	1
.. — — — — —	2
... — —	3
.... —	4
....	5
— ....	6
— — ...	7
— — — ..	8
— — — — .	9
— — — — —	0




უწავ  
ჩსუტვიანი

# ლოკოკინას სიზმარი



ჰა, სტუმარიც! – ბეჭემოთი  
დიდი ჩანთით,  
ზედ – ჩემოდნით,  
მაგრამ რა ქნას, რომ მასპინძლის  
სასახლეში ვერ შემოღის?




– მოდი, ძმაო, შემობრძანდი,  
თავი იგრძენ, როგორც უინა!  
მოკრძალებით, მოწიწებით  
სახლში იწვევს ლოკოკინა.

ჰოდა, წვალობს ბეჭემოთი,  
იტანჯება ბეჭემოთი... –  
ვერც ჩანთით და ვერც უჩანთოდ,  
უჩემოდნოდ, ვერც ჩემოდნით  
ლოკოკინას სასახლეში  
ვერ შემოდის. ეს დიდგულა ლოკოკინაც,  
ნეტავი, რამ გააგიჟა,  
რას ფიქრობდა, როცა სტუმრად  
ბეჭემოთი დაპატიჟა?

მანაც... ფეხი მოინაცვლა  
და ზედ მის სახლს დააბიჯა!

არაკის აზრს ჩასწვდით, მგონი:  
უნდა ნახოს ტოლმა ტოლი!



მხატვარი  
ლამა სულაკაური



# ბაჭიას ჩანთა



მხატვარი  
**ნათია გუგუჩიანი**

შემოდგომა მოვიდა და ისევე, როგორც ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, სამხევეთის ტყეშიც სკოლაში წასვლის დრო დადგა.

სასკოლოდ მზადება ტყეში რახანია დაიწყო, მაგრამ ბოლო დღეებში მართლაც არნახული ფუსფუსი გაჩაღდა: დათვის ბელებმა წინასწარ ჩაალაგეს ჩანთები; მელიისა და მგლის ლეკვებმა თავები გაიკოხტავეს, ლექსებს გამოთქმით ამბობენ; თავს იწონებენ ზღარბებიც; თათის თითებზე თვლა-ანგარიშით არ იღლებიან მაჩვები; ანბანს თავიდან ბოლომდე სხაპასხუპით იმეორებენ თახვები; ხმოვან-თანხმოვანს არჩევენ კვერნები და წავეები... მოკლედ, ჩირვგში მთვლემარე ზარმაცი ბაჭიას გამოკლებით, ყველა მონდომებული და სწავლას მოწყურებული ჩანს.

ბაჭიას კი, ზარმაცსა და პრანჭიას, რა ლექსი და ანგარიში ემახსოვრება, როცა ლოგინიდან წამოდგომაც კი ეზარება.

იმ დილასაც იფიქრა, თვალს მოვატყუებ, რამდენიმე წუთს კიდევ წავოვლემო და... მადლი ქენით, ჩანთა ჩამილაგეთო! – საბნის ქვე-

შიდან გამოსძახა მშობლებს.

ოჯახის წევრებმაც, ბაჭიას სკოლაში რომ არ დაჰკვიანებოდა, უმაღ ჩანთის ჩალაგება დაიწყეს.

დედამ, არიქა, არ მოშივდესო და, ბაჭიას იმდენი პრასი და სტაფილო ჩაულაგა, მწვანე ზურგჩანთა პატარა ბოსტანს დაემსგავსა.



იანბარი და ყველა ნარილი მის ნამდვილ აღრეასტს მიუტანა.

$1 + 7 =$

$9 + 5 =$

$8 + 6 =$

$7 + 8 =$

$9 + 6 =$

$8 + 5 =$


$6 + 7 =$

$9 + 4 =$



ბებია, არ შესცივდესო და, ჩანთაში კოხტად დაკეცილი შალის წინდები და თბილი ჟილეტი ჩაამატა.

ჭირვეული ამინდია, ვინიცობაა, წვიმა წამოვიდესო, ყურები ცქციტა დეიდა ცქციტომ და ბაჭიას ისედაც მძიმე ჩანთას ახლა უკვე ქოლგა და ლაბადა შეემატა. ამას კიდევ ერთი-ორი რვეული და რამდენიმე წიგნი მოჰყვა და ამ მეტისმეტი მზრუნველობისგან ზურგჩანთა ისე დამძიმდა, იმისი ადგილიდან დაძვრა ბევრს გაუჭირდებოდა, მაგრამ ბაჭიამ იმდენი იზოზინა... ვიდრე ის ლოგინიდან წამოიზლაზნა,



ზარის დარეკვამდე წუთებიდა დარჩა. რასჭირდებოდა და რა არა, ამის გარჩევის დრო აღარ იყო.

ჰოდა, რაც დახვდა, იმას წაეტანა.

მიდის ბაჭია, ძლივს მიჩანჩალებს, კუმაც კი გაასწრო. ლოკოკინებიც მის წინ მილოდავენ, აი, ცოტაც და, სკოლაში იქნებიან. ვინც გზად ხვდება, თავს ვერ იკავებს, ყველა იცინის. ბაჭია კი სირცხვილით იწვის.

არ შეერგო სიზარმაცე და აი, ახლად ხვდება: შენი საქმე შენვე უნდა გააკეთო. რადგანც ჩანთა შენია, თავად უნდა ჩააღაგო და შენი გასაკეთებელი სხვას არ დაავალო!



4	+		+	2	15
+		+		+	
	+	5	+	7	15
+		+		+	
8	+	1	+		15
15		15		15	



**თამაში,  
როგორც  
აღზრდის  
ინსტრუმენტი**

**მარია მატრაქელი**

ჯერ კიდევ 1989 წელს ბავშვთა უფლებების კონვენციაში თამაში განისაზღვრა, როგორც ბავშვის კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი უფლება. მაგრამ ფსიქოლოგები ამ კონვენციამდე ათწლეულებით ადრე დაინტერესდნენ თამაშით, როგორც ქცევის ერთ-ერთი ფორმით. თამაში არის ნებისმიერი ქცევა, განხორციელებული ინდივიდის სიამოვნებისთვის, მაგრამ ის არა მხოლოდ სიამოვნების წყარო, არამედ განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაც გახლავთ. მხარდაჭერი გარემო, ადეკვატური სათამაშო სივრცე, სათამაშოთა სიმრავლე აძლევს ბავშვებს შესაძლებლობას, იყვნენ საზოგადოების წარმატებული და პროდუქტიული წევრები.

„კოგნიტიური ნეირომეცნიერების“ ჩამოყალიბებამ თამაშის, როგორც აღზრდის ინსტრუმენტის, ახალი უმნიშვნელოვანესი შტრიხები გამოკვეთა. აღსანიშნავია, რომ თამაშისთვის განკუთვნილი დრო განსაკუთრებით იზრდება თავის ტვინის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში: ბავშვები ებმებიან იმ თამაშებში, რომლებიც ხელს უწყობს მათი ასაკისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციების ჩამოყალიბებას.

თამაში უზრუნველყოფს პროტეინის გამომუშავებას ამიგდალასა და პრეფრონტალურ ქერქში. ორივე ეს არე ბავშვის ქცევის რეგულაციისა და მომავალში მისი სოცო-ემოციური კეთილდღეობის წინაპირობაა. თამაშის ემოციურ-ქცევით სარგებელზე ცნობილი ფსიქოლოგი გოლდმენი ამბობს: თამაში ამცირებს შიშს, შფოთვის, სტრესს; ქმნის ხალისის, სიახლოვის, თვითპატივისცემის გარემოს; აძლიერებს ემოციურ მოქნილობასა და ახალი გამოცდილების მიღების უნარს; ცვლილებებთან უმტკივნეულოდ შეგუებისა და ადაპტაციის უნარებს. გარდა ემოციური რეგულაციის გაუმჯობესებისა, თამაშს სოციალური სარგებელიც ახლავს: აყალიბებს ემპათიის განცდას, გაზიარების მოთხოვნილებას, გადანყვეტილების მიღებისა და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, აუმჯობესებს კომუნიკაციისთვის აუცილებელ ვერბალურ და არავერბალურ უნარებს, აყალიბებს ყურადღების კონცენტრირების უნარსა და მშობელთან მიჯაჭვულობის განცდას. ამერიკის პედიატრთა ასოციაცია (2011) კი თავისუფალ თამაშს ბავშვის მიერ საკუთარი თავის შეცნობისა და თვითცნობიერების ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს.

არი ბრაუნი თამაშს თავის ტვინის განვითარების სტიმულირების საუკეთესო გზად მიიჩნევს. თამაში დადებითად აისახება ბავშვის ფიზიკურ ფუნქციონირებაზე: დადებითი ემოციები ზრდის იმუნური, ენდოკრინული, კარდიოვასკულარული სისტემების ეფექტურობას; ასტიმულირებს პროტეინის გამომუშავებასა და თავის ტვინის ზრდა-განვითარებას, ახალი ნერვული კავშირების ჩამოყალიბებას. მიუხედავად ბავშვის სქესის, რასის თუ სოციალური კლასისა, ბავშვები სათამაშოების და თამაშების ფართო ასორტიმენტით ინტელექტუალურად უკეთ ვითარდებიან.

თამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 0-დან 7 წლამდე. თამაშის ნაციონალურმა ინსტიტუტმა თამაშის შვიდი ტიპი გამოყო, ესენია:

1. თანახმოვანება (თავდაპირველი კავშირი ბავშვსა და დედას შორის);
2. სხეულებრივი თამაში (ბავშვი თამაშობს საკუთარი სხეულის ნაწილებით, იკვლევს გარემოს);
3. საგნობრივი თამაში (ბავშვი თამაშობს სათამაშოებით, ქილებით, კოვზებით ან სხვა ნივთებით);



ბშობლის გზეხილი





- 4. სოციალური თამაში (აუცილებლად გულისხმობს სხვა ადამიანების ჩართულობას თამაშში);
- 5. წარმოსახვითი (თამაში, რომლის დროსაც ბავშვის ფანტაზიას იყენებს სხვადასხვა სიტუაციების გასათამაშებლად);
- 6. ნარატიული (თამაში, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას: ზღაპრის წაკითხვა, ლექსის მოყოლა, სიმღერა);
- 7. ტრანსფორმაციული (გარკვეული ნივთის სხვა – არა საყოველთაოდ მიღებული დანიშნულებით გამოყენება).

თამაში ადრეული ბავშვობის განმავლობაში იცვლება. პირველი მცდელობა უფროსის მიერ არის ინიცირებული: ლიტინით გამოწვეული სიცილისა და „ჭიტას“ თამაშით მიღებული სიამოვნების გარეშე ჩვილობის ასაკი წარმოუდგენელია. ასე ეცნობა ბავშვი თამაშს, შემდეგ ეტაპზე უკვე „ნამდვილი თამაში“ იჩენს თავს - ბავშვი იწყებს გარემოს გამოკვლევას საგნებით მანიპულირებით. ორი-სამი წლისთვის ბავშვები გაცნობიერებულად ანიჭებენ უპირატესობას სოციალურ თამაშს და ერთვებიან უფროსთან და თანატოლებთან „პარალელური თამაშის“ სხვადასხვა ფორმებში. მაგრამ ეს „ნამდვილი“ სოციალური თამაშის მხოლოდ ჩანასახია. ხოლო შეთანხმებული თამაში, როგორც „ნამდვილი“ სოციალური აქტივობა, 3-4 წლისთვის ყალიბდება. სოციალურ თამაშს შეიძლება ჰქონდეს როგორც წარმოსახვითი, ასევე ნარატიული, ტრანსფორმაციული ან სხვა ნებისმიერი ფორმა.

სხვადასხვა ასაკში თამაშის ფორმების ჩამოყალიბების ყოველ ახალ ეტაპზე მშობლის ფუნქციებიც იცვლება. თავდაპირველად მშობელი თამაშის ინიციატორია, შემდეგ ეტაპზე მშობლის ფუნქცია ბავშვის გარემოს გამდიდრებითა და გარემოსადმი პატარას ინტერესის აღძვრით განისაზღვრება. პარალელური თამაშის უზრუნველსაყოფად კი მშობელი ბავშვისთვის მოდელის როლს ასრულებს, რომლის კვალდაკვალ ბავშვი ხალისით იმეორებს სხვადასხვა აქტივობას. ამ ეტაპზე აღმზრდელის კიდევ ერთ ფუნქციაა, თანატოლებთან ბავშვის ხშირი ურთიერთობის უზრუნველყოფით გააფრათოოს სოციალური წრე. შეთანხმებული თამაშისას კი ერთ დროს ინიციატორი და შემდეგ მისაბამ მაგალითად გადაქცეული მშობელი თამაშში ბავშვის თანასწორ აგენტად გვევლინება, რითიც შვილს წინა ეტაპებზე ათვისებული უნარების განმტკიცების შესაძლებლობას აძლევს და წაახალისებს მას დამოუკიდებლობისკენ.

თამაშზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, აქ მხოლოდ ძირითად ტენდენციებს შევხებით – შედეგად შეიძლება სარწმუნოდ ითქვას, რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შემდეგ თამაში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბედნიერებისთვის ყველაზე ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომლის განხორციელებასა და სწორად წარმართვაში მშობლის როლი შეუფასებელია.



# ზღარბი

ხბომ ზღარბი დაინახა და უთხრა:

– უნდა შეგჭამო.

ზღარბმა არ იცოდა, რომ ხბო ზღარბებს არ ჭამს, შეეშინდა, ბურთივით დამრგვალდა და დაიფრუტუნა:

– აბა, სცადე...

სულელმა ხბომ კუდი ასწია, ხტუნვა დაიწყო, რქენა დაუპირა. შემდეგ წინა ფეხები გაჩაჩხა და ზღარბი ალოკა.

– ვაიმე, ვაიმე! – აღრიალდა ხბო და ძროხასთან გაიქცა.

– ზღარბმა ენაზე მიკბინა, – შესჩივლა დედას.

ძროხამ თავი ასწია, დაფიქრებულმა შეხედა და ბალახის ჭამა გააგრძელა.

ზღარბი კი ცირცელის ფესვის ქვეშ ბნელ სოროში მიგორდა და დედა ზღარბს უთხრა:

– იცი, უზარმაზარ ცხოველს მოვერიე, მგონი, ლომს.

და გასცდა ზღარბის სიმამაცის ამბავი ცისფერ ტბასა და დაბურულ ტყეს.

– გოლიათი ზღარბი გვყავს! – ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს შეშინებული ცხოველები.


თარგმნა ხარება ქავთარაძემ,

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რუსული ენის შემსწავლელი წრის წევრი, 10 წლის



# კრისკვთრდი

ამ კროსვორდს მხოლოდ  
ის შეავსებს, ვინც  
ყურნალის ყველა  
კვერდს ყურადღებით  
წაიკითხავს.



1. პარკი, სადაც ოთხი მეგობარი მოხალისედ მუშაობს.
2. საკუთარ თავზე შეყვარებული ფრინველი.
3. ლოკოკინას სტუმარი.
4. რა პროფესიის იყო მორზე?
5. რა მოსდევს ჭექას?
6. SOS — უბედურების .....?
7. ქართული პურის სახეობა?
8. „გოლიათი“ ცხოველი, რომელმაც ხბო შეაშინა?
9. ფრინველი, რომელიც კატამ აატირა?
10. რადიოთი ცნობების გადაცემა-მიღების სპეციალისტი?
11. ზარმაცებმა დღეში სამჯერ უნდა სვან „სიზარმაცის .....“.
12. რა ერქვა მორზეს?
13. რა გამოიგონეს 1890 წელს?
14. რა ჩაუდო დედამ ბაჭიას ჩანთაში?

## ენის გასატეხი

ელგუჯა ლეპანიძე

### წუნუნა წრუნუნა

ნამალს წუნნიდა წრუნუნა,  
წუნამ რომ დაუნრუპუნა:  
— აღარ მომწონხარ, წრუნუნა,  
ბოლო დროს გახდი წუნუნა!

ცრემლები ღვარა კუნუნულა,  
წრუნუნამ დაინრუნუნა:  
— შენ რომ გენვოდეს წვივები,  
კი გადხეობდი წუნუნა!

### კუს ბაკანი

კაკებმა მორთეს კაკანი:  
— კუს გაუტეხეს ბაკანი!  
ცას შესციცინებს ციცარი:  
ბაკანი ასი წლის არის!

### ბუ და ბუზი

ბაბაღეს ბაღზე ბებერი ბუ ზის,  
ბორიოს მოაქვს ბზული ბუზის.





**გამოიწერეთ ჟურნალი „დილა“**  
 ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ  
 პრესის გავრცელების სააგენტოებს:  
**elva.ge** ტელ: 2 38 26 73;  
 2 38 26 74;  
 ჟურნალი გამოდის  
 თვეში ერთხელ:  
 საცალო გასაყიდი  
 ფასია 2 ლარი,  
 1 წლით – 24 ლარი.



მთავარი რედაქტორი: **ლოლო ნივნივაძე**  
 ნახატი ყდაზე: მალხაზ კუხაშვილის  
 მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com), facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
 ფასი: 2 ლარი